



1910 სათავადად სალიტერატურო ჟურნალი № 19

ქართული თეატრი

კვირას, 16 მაისს გაიხარება

კ. ფოცხვერაშვილის
კონცერტი

საკუთარი ნაწარმოებნი

I

ქართული ეროვნული სიმღერები
ხოროსა და კონცერტისთვის


II

ბრძოლა ამირანისა ზაყაყაყ დევთან
სიმღერითა და ცეცხლი სურათებ. ესკიზი.

III

„აშენდა საქართველო!“

სცენები ქართ. სტუდენტთა ცხოვრებიდან



კ. ფოცხვერაშვილი

წარმოდგენის წინ

IV

და ელური და ლექსი
ბალანცის თეორიად.

V.

მეორე ანტრაქტში შესრულდ
იპოლიტოვ-ივანოვის
ქართული მარში

ხოროში 100 ქალი და კაც
ორკესტრში 40 კაცი

ლოცხვარი კ. ფოცხვერაშვილი

ცეცხლ. სურათებს დასდგავს ვ. ზომბერი



№ 19

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. თბილისი. Редакция «Театри да Цховреба» Тос. .Зах. Имедашвили

16 მაისი, 1910 წ.

ქართული სცენის გასული კვირის მეთაუ-
ახალი მუშაკნი რის პირველ-ნახევარში
აზნებნით, რა მოვალეობას ვაკისრებთ თბილი-
სის ქართულ თეატრს...

ცხადია, სათეატრო ხელოვნება მხოლოდ
მაშინ ახდენს თავის სხივ-მყენ გავლენას, რო-
დესაც მისი ქურუმნი გონება-ნათელნი, ზნეო-
ბა-სმეტაჲნი არიან...

ჩვენის თეატრის მუშაკი იმავე დროს საე-
როვნო მოღვაწის როლს ასრულებს და რა
მოღვაწეობას მოსთხოვთ უფიცს, უგულსულოს,
ქვეყნის წარსულისა და აწმყოს უცოდნელს,
მწიგნობრობისა და ხელოვნების უცნობელს?..

აქედან აშკარაა, რომ სცენაზე მოღვაწეო-
ბის ყოველმა მსურველმა ამ თავითვე უნდა
გაითვალისწინოს, რა მოვალეობას კისრულობს
საზოგადოების წინაშე...

ქართველი მსახიობი წამების ჯვარს ზი-
დაეს გოლგოთისაკენ, ოფლითა და მწარე შრო-
მით იბოხიერებს ნიდავს, მაგრამ რა მნიშვნე-
ლობა აქვს გოლგოთაზე მიტანილ გატალახი-
ანებულ, შემწიკვლულ ჯვარს!..

თუ ბევრს უფიცობით მოსდის და სცენას
ეტმანსება, როგორც „უნიკოთა, უფიცთა, უიდე-
ალოთა თავშესაფარს“, როგორც მხოლოდ გა-
მოსარჩენ ბინას,—დრამატულ საქმეთა მესვე-
ურთ, ხელოვნების აბლო მდგომამცნობთ მაინც
უნდა დაიცან ჩვენი სცენა ვანდალითა შემოსე-
ვისაგან,—ისედაც თავი ვუკაქს მომებრებული
ზოგიერთ ლოთობანათა, უფიცთა და მებანქოე-
თავან...

შინაარსი: ქართული სცენის ახალი მუ-
შაკნი; ყველაფერი და არაფერი—მუაჟურა;
თანამედროვე ქალი (აქქისა)—აკაჟისა;
ლაღალი—პაპაჟისა; კ. სტანისლავსკი და
ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო—ჯად. შადიკა-
მუაჟისა; ჰიმნი მზისადმი (შანტკელოვიდან)
—ა. შნაჟაშვილისა; სინანული—ჯად. დეკა-
ნოზაშვილისა; რა მშვენიერი იყო ნამი—გ.
ტაბაძისა; მტარვალის ბედი—ს. გლახაშვი-
ლისა; მაშინ ვარკვეე—გ. ფოცხხველისა;
ლიტერატურ. საღამო—ცაცკარისა; მუსიკის
მნიშვნელობა—აივ. გომარაშვილისა; ახალგაზდა
ქვრივი—გ. ახარაშვილისა; სომეხთა მწიგნო-
ბარნი—უ. კას; სათეატრო ამბები და სხ.

ამ გზით—სცენის სიწმინდის დაცვით—
მოსალოდნელია სათეატრო ასპარეზო უფრო
ღირსეულნი და საპატიონი გამოჩნდეს...

ყველაფერი ერთხელ თქმულის განმეორება
და არაფერი გონებას ჰღალავს, მაგრამ რო-
დესაც საზოგადოებრივი ცხოვრება გაყინულა,
ირველივე თითქმის ყოველივე შეჩერებულა,
სამშობლოს ცას შავი ღრუბლები გადაჰკვრია,
არ შეიძლება ცხოვრების მეთვალყურემ კიდევ
ერთხელ არ ახლოს ფარდა საზოგადოების
წყლულს...

არა ერთ გზის აღგვიწმინდავს ჩვენის
ინტელიგენციის უინტენსიობა, მოღუნება ..

იქამდე მივიდა მისი არარად ქმნის პრო-
ცესი, გადაშენება, რომ ძნელად თუ სთქვას,
რას ეტრფიალებს იგი...

უბრინციობა ყოველგვარ საქმეში, უსის-
ტემობა,—აი რა აბათილებს ჩვენებურ ინტელი-
გენციას და არარად ჰქმნის მის-მიერ ნაკისრ
საზოგადო საქმეს... აი, რა უსპობს ნიდავს
ჩვენის ქვეყნის მომავალს...

ურთიერთის გაუგებრობა, ერთი მეორე-
ისადმი ურწმუნეობა, საერთო იდეალთა უკრო-
ბლობა, დაწვრილმანება, აჩქარებული და დაუ-
დინჯებელი „საქმიანობა“, იდეური ბრძოლის
მაგიერ მუშტი-კრივის გაბატონება,—აი დამა-
ხასიათებელი თვისება ჩვენის ინტელიგენციის...

ჩვენი ინტელიგენცია ერთსა და იმავე
დროს ყველაფერსა ჰკიდებს ხელს, ხოლო ძნე-
ლად თუ რომელსამე საქმეს ავგიერავინებს...

აი ამაშია ჩვენი საზოგადო საქმეთა და
მის მესვეურთა მარტვის თავი და ბოლო...
ღროა, ბოლო მოეღოს ყოველივე ამას!..

თანამედროვე ქალი

მდიდრულად მოართულ ოთახში
 სის ახლ-მოდის კნეინა.

დიდება შენდა უფალო!..
 რამ განაყრს დღეს შინა?

მისი ტოლ-აშხანაკები
 ერთად წასულან სუეველს:
 ნინა, თამარიკა, ქეთუშ,
 ანუშკა, ლისა, კეკელა!

ოქ ჯირითად ცხენების,
 აქ კრებს ლაუნტენისა!..
 ამას კი ზირი შეუკრფეს!..
 ნეტავი, რას იტენისა?

ეკებო ფული დააკლდა
 და ის უცვლიდეს დღეს ფერსა?

— არა! ამისი სიმდიდრე
 განძლებს ათასს მძიერსა!

ან საუვარელი მოუკვდა
 და იმს ივლოვს გულითა?

— მაგას რას დასდევს, ცოცხლებში
 ცოტას იმოყნის ფულითა?

აბე სამშობლოს, დცემულს,
 თუ ივლოვს, როგორც ვაღიბ?
 — არც ის! სამშობლო, ვინ მისცა?

თანამედროვე ქალი!..

მაშ, აგრე მაგის მოწყენა
 მხოლოდ უბრალო ქინია?

— რა ბრძანებაა? ავად ჭყავს
 მისი ჰატარა ფინია!!!..

დღეს ექიმები შეჭვარა.—

კონსილიუმი ჭქინია.

ერთ ზირად უთქვამს სუეველს:

„არ მოწახებო მკანია!“

მაშ კი ჭქინია მიწყნია...

მართლა რომ შესაბრძლია!

რე ქნას, რომ უეუარს ძაღლები?

თანამედროვე ქალი!..




ლ ა ლ ა დ ი

ლაშა, ლაშა... გეთსიმანის ტყე!
 აი კლდის გული! აი ის ლოდი!..
 შენდა მოვიღე ნელსაცხებელი,
 სადა ხარ, სადა, იესო?—მოდი!


—
 შემომექსოვა ვნების გრივალი,
 არ მეკარება სიმშვიდე, დალა!
 სადღა ვეძიო ჩემი იესო?—
 მიწა დასტოვა... ცად აღემალა.

—
 მოსვენება მსურს. ასე ღრმად გულში
 რად ჩამექსოვე, იესო, რადა?
 როს აღესრულონ ვნებათა ჩემთა,
 როს აღევმალლო შენამდე—ცადა!

ბაბილინა



გ. ი. ნემიროვიჩი-დანჩენკო



ჯ. ს. სტანისლავსკი

კონ. სერ. სტანისლავსკი

ვლად. ივან. ნემიროვიჩი-დანჩენკო

თუ რამ არის მშვენიერი მთელს რუსეთში—
 მოსკოვის სამხატვრო თეატრია; თუ რითიმე
 შეუძლიან იამაყოს რუსეთმა—მოს. სამხატვრო
 თეატრით. ამ მშვენიერების დამაარსებელი
 არიან—**კონს. სერგ. სტანისლავსკი**
 და **ვლ. ივ. ნემიროვიჩი-დანჩენკო**.

სტანისლავსკის არტისტიული ბუნება მუდამ
 სცენისაკენ მიიღრმობდა. იგი, როგორც
 სცენის მოყვარე, წარმოდგენებს მართავდა და

თითონაც თამაშობდა. მას უყვარდა სასცენო
 ხელოვნება, მაგრამ არა იმ სახისა და მიმართულებების,
 როგორც არსებობდა; მას უნდოდა შეექმნა ახალი რამ და მართლაც ნელის
 ნაბიჯით თან-და-თანობით მიიწვედა ამ „ახალი-
 სისაკენ“.

მას არა ჰქონდა გარკვეული გზა, შემუშავებული
 გეგმა; ეს გზა ცხადთა დაანახვა მოსკოვში
 საგასტროლოდ ჩამოსულმა მეინანგენის დასმა,
 რომელსაც სასცენო ხელოვნებაში თავისი რეალიზმით
 თვალსაჩინო კვლილება შეეტანა. აქედან იწყება
 სტანისლავსკის ჰენის „აჯანყება“. ტენიკის რეალიზმი მას ვერ აკმაყოფილებს,
 იგი უფრო შორს მიდის: მას უნდა რეალიზმი,
 ბუნებრივობა, სიწორე ტიპის გაბრუნებაში,
 მსახიობის შემოქმედებაში. მას ეჯავრება
 თეატრალური მანერები, ხელოვნური, ძალდატანებული
 ოხვრა და მინვა. სძულს ყველაფერი,
 რაც გულის სიღრმიდან არ მომდინარეობს.

ამავ დროს აგრევე ფიქრობდა ფილარმონიაში
 ხელოვნების თეორიის მასწავლებელი ვლ. ივ.
 ნემიროვიჩი-დანჩენკო. ესენი ერთმანეთს არ
 იცნობდენ, მაგრამ ერთი მეორეს სულითა და
 გრძნობით კი ესაუბრებოდენ.

ერთ საღამოს მამონტოვისას (მოსკოვში
 გამოჩენილი მეცენატი იყო), საცა იკრიბებოდენ
 ხელოვნების ყველა საუკეთესო წარმომადგენელი,
 სტანისლავსკი და ნემიროვიჩი-დანჩენკო
 ერთმანეთი გაიცნეს. ამ გაცნობის შედეგი იყო
 ნაშუადღევის 2-დან მეორე დღის 7 საათამდე
 ამ ორ ჰენოსთა შორის მოლაპარაკება,
 რამაც საძირკველი ჩაუყარა მოსკოვის სამხატვრო
 თეატრს 1898 წ.

რაკი ამ ორ გამოჩენილ რეჟისორზე დავიწყებ
 ლიბარაკი, საპიროდ მიმანია გაკვრით შევეხებო
 ტეატრის სხვა ცნობილ რეფორმატორებსაც.

დრამატული ლიტერატურისა და სასცენო
 ხელოვნების თვალსაჩინო რეფორმა დაიწყო ინგლისში
 მე XVIII საუკუნეში. ეს იყო ის დრო, როდესაც
 მსოფლიო ჰენოსი ვ. შექსპირი ლონდონის
 სცენიდან განდევნილი იყო და როგორც
 ინგლისში, ისე სხვა სახელმწიფოებშიაც პირველი
 ადგილი ჯერ ისევ საბერძნეთის კლასიკებს
 ეკრათ. ძველ ტრადიციებით დაღლი-

ლმა საზოგადოებამ მოითხოვა ახალი, —რაც უფრო ახლო იქნებოდა ადამიანის გულთან და მის ყოველდღიურ საკითხს პასუხს გასცემდა. უნდა წარმოშობილიყო ახალი დრამა არა ზღაპრებზე აშენებული და მითებით საესე, არამედ გამომატველი ნამდვილი ცხოვრებისა, მისი სარკე. „ახალი გმირი, ცხოვრების ახალი სვერა“, — ითხოვდა საზოგადოება. სწორედ ასეთი დრამა (ეგრედ წოდებული „ბურჟუაზიული დრამა“) მიუძღვნა თავის სამშობლოს ჟორჟ ლილომ 1731 წ.

ინგლისი ჰბადავდა ახალ იდეას — საფრანგეთი მითი სარგებლობდა.

ინგლისში პირველად გაჩნდა ბურჟუაზიული დრამა, — საფრანგეთმა შექმნა მისი თეორია, აღიარა კანონად და ცხოვრებაშიც ვაატარა. 1752 წ. გამოვიდა საფრანგეთის შევნიერის ლიდროს „კოდის შვილი“, შემდეგ ზერსიესი და სხე.

ჰერმანიაში ლესინგმა-კი სულ სხვა თვალთ შეხედა იმ დროინდელ ხელოვნების პრინციპებს და ძველის კლასიკებით თავისებურადაც ისარგებლა. კლასიკური ხელოვნების იდეალები შეუერთა ახალი დრამატიული თეორიის კანონს და ჩამოასხა ნაციონალური კომედია, რომელშიაც საესებით გამოხატა ჰერმანიის ბურჟუაზიის ცხოვრების სინამდვილე. ამის დამამტკიცებელია მისი პიესები „ემილია გალოტი“, „ნათან ბარქნი“ და სხ.

პირველად ისე აღტაცებით მიეგება საზოგადოება ბურჟუაზიულს დრამებს, რომ მოსალოდნელი იყო, ეს უკანასკნელი გამეფდებოდა სცენაზე. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებად დარჩა და სცენაზე კრუ-კლასიციზმი მიიწ ბატონობდა. ამან ცუდი გავლენა იქონია საერთოდ ხელოვნებაზე. იწერებოდა ახალი დრამები ძველ ფორმაში გახვეული. გამრავლდნ უნიკო დრამატურები. მსახიობნი გზას გადასცდნ; დაჰკარგეს შემოქმედებითი ძალა. საზოგადოება ამას გრძობდა, მაგრამ გასასვლელი გზა კი არ სჩანდა. ყველაზე მეტად-კი ამ ნაკლს ღიღებულნი მგოსანნი, ვ. ჰიუგოს ფაქიზი და მგძნობიარე გული გრძობდა. მის აღონებდა სამშობლო სცენის უნუგეშო მღგომარება, დრამატიული ლიტერატურის დაცემა. მსახიობთა სულის კვეთების გამომატველი და მაშინდელი პიესების

სავსებით დამახასიათებელი იმ დროის გამოჩენილ არტისტის ტალმას სიტყვებია, რომლითაც მან საფრანგეთის მგოსანს შესწივლა: „არტისტს, — უთხრა ტალმამ ვ. ჰიუგოს — დაფთოვანებს როლი, და მე-კი, ნამდვილი როლი, სრულს ამ სიტყვის მნიშვნელობით, არასოდეს არა მქონია; არასოდეს არ მითამაშნია სულირია და გულით. ტრალედა, რა თქმა უნდა, მშვენიერია კეთილშობილური, აღმამფრენი, ყველაფერი რაცა გენებათ, მაგრამ ამ ღიღებასთან ერთად მე მიხნდა-გმირსა ჰქონდეს ნამდვილი სული, გული, გრძნობა, ადამიანის შესაფერი ბუნებრივობა. იყოს ნამდვილი, ცოცხალი ადამიანი თავისი ნაკლითა და ღირსებებით: არ იყოს განყენებული, ზღაპრული პიროვნება, ტრალი-კული ტუკინი. იყოს მეფე, ძღვევა-მოსილი მაგრამ — ადამიანი. მავალითად კარლ VI როლის თამაშის დროს მაყურებელზე კარგი ზთაბეჭდილება მოვახსნენ, როცა წამოვიძახე „პური მამეკით, პური“ — მეთქი, იმიტომ, რომ ამ სიტყვებში გამოვატე ტანჯვა საყოველითა, ადამიანური და არა რომელიმე კერძო მეფისა. ამ სიტყვაში ტრალიზმი შევეურთე სინამდვილეს, ბუნებრივობას... დიახ, სინამდვილეთ, ბუნებრივობა — აი რას ვეძიებდი პიესებში მიეღო ჩემი სიკოცხლე!“.

— „რაზედაც თქვენ ოცნებობთ, მე მიხნდა დაესწრო იგი“, უპასუხა მგოსანმა. და სწორედ რომანტიკოსმა პოეტმა სცენაზედაც რომანტიული დრამა შეიტანა. მან დახატა ადამიანი მისი ნაკლითა და ღირსებებით. აჩვენა საზოგადოებას, რომ მეფე ისევე გრძნობს, როგორც მთხოვარა, მაწაწაწალას ისეთივე სული აქვს, როგორც რომელიმე ბურჟუას. და ამ ახალ მიმართულების დრამას დააწერა „სინამდვილე და ბუნებრივობა“. როგორც ყოველ „ახალს“ სჩვევია, ესეც იუცხოვა საზოგადოების უმრავლესობამ და კრუ-კლასიციზმის მომხრეთ სასტიკი ომი გამოუცხადეს მგოსანს. საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო. რეტინით დაბრმავებულმა ერთმა ნაწილმა ვ. ჰიუგო უნიკო მწერლად-კი აღიარა და 1830 წ. პირველად „ეგრანის“ წარმოადგენაზე თეატრში დემონსტრაცია გამართა: მგოსანსა და მსახიობთ უსტევისა, გაზეთები პოეტის ღანძლევა-გინებით იყო სავსე, მაგრამ ახალმა მიიწ სძლია ძველსა და რვა



წლის შემდეგ, როცა „ერნანი“ სცენაზე განა-
ახლეს, — სტენვა აღტაცებული ტაშით და ერთ-
სულოვანი ვაშაით შეიცვალა.

ვ. ჰიუგოს სიტყვები: სინამდვილე, ბუნე-
ბრივობა, — დრამატურგებმა დღეისათ დღიარეს.
განყენებული პიროვნების ნაცვლად სცენაზე
გამოვიდა ჩვეულებრივი ადამიანი; არტისტებმა
ფრთა გაშალეს.

ცხადია რომანტიული დრამაც უნდა და-
მორჩილებოდა ევოლიუციის კანონს; მასაც
უნდა განეწყო თავისი ხანა და სასცენო ხე-
ლოვნებაში გამოჩენილიყო ახალი გზა. კორ-
ნელმა და რასინმა შექმნეს კრუკლასიკური
ტრადედია, ლილომ, ლესინგმა და სხ. — ბურ-
ჟუაზიული და ვ. ჰიუგომ — რომანტიული დრა-
მა. ამ რივად დრამა ნელის ნაბიჯით უახლოვ-
დებოდა ცხოვრებას, სინამდვილეს, — ნატურა-
ლიზმს. უნდა წარმოშობილიყო **ნატურალის-
ტური** დრამა.

საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი — ნა-
ტურალისტი ე. ზოლა თითონ არ იყო დრა-
მატურგი, მაგრამ იგი მოუწოდებდა სხვებს შეე-
ქმნათ ახალი დრამა, გამოშხატველი არა მარ-
ტო კერძო პიროვნების, ინდივიდის ცხოვრე-
ბისა, არამედ მთელი ოჯახის, ანუ საზოგადო-
ებისა. დაეხატათ ცხოვრების სრული სინამდვა-
ლე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეე-
ბით. „ქვემარტება, სინამდვილე — ამბობს ზო-
ლა — არ უნდა დაიშალოს; მისთვის არ არის
საჭირო არც ფარდა, არც თეჯირი (შირმა);
იგი უნდა გამოქვეყნდეს, დაისახოს ადამიანმა
ცხადათ, საცხებით“.

ამ ახალ მიმართულებას ხმა გამოსცეს სა-
ფრანგეთის მწერლებმა და, სხვათა შორის, დი-
უვარ-შვილმა, მაგრამ ვერ მიახწიეს მიზანს,
ვერ შექმნეს სასცენო ხელოვნებაში ეპოქა,
როგორც ვ. ჰიუგომ თავისი „ერნანით“, თუმ-
ცა საუცხოო ნაწარმოებნი მიუძღვნეს ლიტე-
რატურას. ამ ხანად საფრანგეთს ჰერმანიამ
გაუსწრო.

ჰერპარტ ჰაუტმანმა პასუხი გასცა ე.
ზოლას მოთხოვნისას. მან საძირკველი ჩაუ-
ყარა ნატურალისტურ დრამას. იმის „მზის ამო-
სვლამდი“ — სს — თითქმის „ერნანის“ დღე დაადგა,
პიესის წარმოდგენა სტუდენტთა და სიცილ-ხარ-
ხარით დამთავრდა. პოეტს პოეზიის ანარ-

ქისტი უწოდეს, მაგრამ პოეტი არ შედგა, —
პირველ პიესას მოჰყვა „,ვედამყოფი ხალხი“,
„სულით ობოლნი“, „ფეიქრები“ და სხ. მან
რიდე ჩამოგლიჯა საზოგადოებას და აჩვენა
ცხოვრების ყველა მიმალული ადგილები და
დასავაობი მხარეები. დრამატიული ლიტერა-
ტურა ერთბაშად შემოტრიალდა; ზურგი შეაქ-
ცია ძველს და დაადგა ახალ გზას. ჰაუტმანმა
სასცენო ხელოვნებაში შექმნა მეორე, ვ. ჰიუ-
გოსებური ეპოქა.

ვალ. შალიკაშვილი
(დასასრული იქნება)



ჰიენი მზისაღმი

(ნაწვეტა როსტანას შანტკეღერიდან)

ეპა, მზეო, ოქროს ღმერთო,
შენ ერთს გწირავ ლოცვას დიადს;
შენ თან მოგაქვს შეგების სხივი
და აქარწყლებ ღამის წყვილადს.
ჰიი, ოქროს შემომქმელო,
ნაზ ფოლოებსა აფერადებ;
და უბრალო მწერის კვერცხით
ქრელ პეპელას კოცნით ჰბადებ.
მოვლენილხარ მაღლა ზეცით,
შესაცვლოლად გუნებისა!
ჰე, ნათელო, შენ ერთს გიმედრ,
გსურს კურთხევა ბუნებისა!
ყველას სახეს ნაზად უმზერ,
თაფლი ქარვად ფერადლება;
შენსა ცეცხლში აწ ცხოვრება
მშვენიერობს, ლამაზდება!

ყველას სხივით უაღვრესებ,
ყოველს ადგილს იფინები;
ივადმყოფებს ანუგეშებ,
რა მწირს ქობში შეიკრები.

შენს სამსხვერპლოს ქელსა ვუხრი,
ვარ ქურუმი შენს საქებად;
ცხოველ სხივებს მოვეუწოდებ
ზექვეყნიურს ზიარებად!
გიგალობებ და შენ ვაქებ,
შენთვის მიძგერს ტრფიბით გული;
შენა ჰბადებ ტკბილ ცხოვრებას,
გვეფინება სიხარული!..

ა. შანშიაშვილი

მუსიკის მნიშვნელობა

(კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო)

დღეს ქართულ თეატრში გაიმართება მეტად საყურადღებო კონცერტი ბ. ფოცხვერაშვილისა.

გაბერილი სიტყვების რახარუხს თუ არასოდეს არაფერი შეუმატებია ერის კეთილდღეობისათვის, მით უმეტეს დღეს ვერაფერს შემატებს.

ერის კეთილდღეობის საფუძველს ყოველთვის უზადგენდა ქონებრივი და სულიერი კულტურა. რაც უნდა დაწინაურდეს ერი ქონებრივად, თუ ის თავისი სულითაც წინ არ მიდის, მისი კეთილდღეობა, მისი არსებობაც კი შეუძლებელია. ხოლო სულით ძლიერი ერი მკვლარიც-უ ეყვდავია, როგორც მაგალითად ძველი ელლინნი. ლიტერატურა და მუსიკა ნაწილია ერის სულისა და მათ განვითარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში. ვისაც-კი თავისი ერი უყვარს და მისი მომავალი, მას უსათუოდ უნდა უყვარდეს ეროვნული ლიტერატურა და ეროვნული მუსიკა.

ლიტერატურა და მუსიკა დარგია მშვენიერებისა. მშვენიერება ისეთი ნაზი რამ არის, რაც ბარტიული არ შინით არც დაფასდება, არც გაიზომება. ჩვენში კი ყოველისთვის ამ დარგში პარტიულ არ შინს დააზომებენ და ვაი იმ მსახურს ხელოვნებისას, რომელიც მას არ გასწვდება: ვერავითარი ნიჭი, ვერავითარი გულწრფელობა მას ვერ დაიფარავს და ჩაქოლილი იქნება. თუ გამოჩნდა ნიჭიერი მწერალი, უმაღლეს იკითხავენ, რომელ პარტიას ეკუთვნის თავისი რწმენითა. და რაც უნდა უნიჭო იყოს მწერალი, ოღონდ პარტიულ დროშის ქვეშ დადგეს და მას ცაში აიყვანენ, რუსთაველად გაბერავენ.

ამგვარი მიმართულება საწამლაია ხელოვნებისათვის. იქ, საცა ამგვარი მიმართულება ფებს იკიდებს და ძლიერდება, ხელოვნების განვითარება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ამგვარი მიმართულებას მუდამ უნდა ებრძოდეს ის, ვისთვისაც ეროვნული ხელოვნება და მისი აყვავება ძვირფასია. დღე რუსთაველი, აკაკი, ილია, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი უკიდურესი „შერახმელნი“ იყვენ თუნ-

დაც, — ჩვენი ეროვნული ხელოვნების ცაზედ ისინი წარმოადგენენ მხეს, რომელსაც ქართველი ხალხი ერთიანად თაყვანს უნდა სცემდეს.

სიტყვაჯამბული მწერლობის დარგში ჩვენ გვყავს ისეთი პირები, რომლითაც თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ, ხოლო მუსიკის დარგში ამას ვერ ვიტყვი. ევროპაში მუსიკა იმდენად განვითარდა, რომ ის ფილოსოფიური პრობლემების ასხსნაც კი ჰკიდებს ხელს, ჩვენ კი დღემდის მხოლოდ ხალხური მუსიკა გვაქვს და ჯერ არ დაგებადებია ის პირი, რომელმაც ხალხურ მუსიკას ახალი სული ჩაჰპეროს და ევროპიული მუსიკის ენით ააღაპარაკოს, ევროპიული მუსიკის ჰანგი ამაღლებიოს. მუსიკის მნიშვნელობა ჩვენში ბევრს არც-კი ესმის, ის ბევრს საქმეოა. გასართობი, ღროს გასატარებელი რამ ჰგონია-მუსიკას-კი ადამიანის გრძნობათა განვითარებაში, ადამიანის გაკეთილშობილებასა და ამაღლებაში უპირველესი ადგილი უკავია.

მუსიკა, პოეზია — ორივე გრძნობის ნაყოფია და გრძნობის შემწეობით სწვდება ორივე გონებას. გრძნობა ჰქმნის მუსიკას და პოეზიას, მაგრამ ამ პროცესში თვითონ გრძნობა ვითარდება, ღრმადდება, ძლიერდება. ერის გრძნობის აღმზრდელი, მისი სულის ამაღლებელი, მისი გულის გამაკეთილშობილებელი მუსიკაა და ის ერი, რომელსაც განვითარებული მუსიკა არა აქვს, კულტურულ ერთაშორის სახსენებელი არ არის დღეს.

მემუსიკენი ჩვენში ძალიან ცოტაა, იმდენად ცოტა, რომ თითებზე თუ ჩამოვთვალო ერთ ხელსაც ვერ ვასწვდება. მით უმეტეს წასაქმებელია დ თანაგრძობის ღირსი ყოველი ახალგაზდა, რომელიც ამ ეკლიან გზას აირჩევს ცხოვრებაში. ეს გზა ჯერ სრულებით უვალაია, გაუკაფავი ჩვენში. სხვებთან ერთად მხნეთ ჰკაფავს მას ბ. ფოცხვერაშვილიც. ბ. ფოცხვერაშვილის ნიჭი, მხნეობა, ცოდნა, მომზადება და საქმის უზომო სიყვარული, ყოველივე ხელს უწყობს, რომ ჩვენს ეროვნულ მუსიკას დღე ნაბიჯი გადაადგმობინოს წინ, თუ მას ჩვენმავე სულ-მადლობამ და გულგრილობამ სასოება არ წარუკვეთა და იმედი არ გაუქარწყლა. ბ. ფოცხვერაშვილის „ბაბაყა მდევის დაღუპვა“-მ რუსეთში მემუსიკეთა ყურადღება



მიიქცია და მოწონება დამისახურა. თუ პირველი ნაბიჯი ფოცხვერაშვილისა მართლა ამ გვარი გამოდგა, მისი ენერგია, ცოდნა და საქმის სიყვარული თავდებია იმისი, რომ შემდეგ ის ბევრ მარგალიტს შესძენს ჩვენს ხელოვნებას.

ორ შაურიანი ბროშურების ცოხნით ქართველი ტრი ევროპას ვერ დაეწევა და ვერ დაწინაურდება; მას გაავერობილებს ყოველივე ის, რაც ეროვნულ ქონებას გაზრდის, განების გაამდიდრებს და გრძნობას ააყვავებს. ნამდვილი მოღვაწე და გულ-შემბატოვარი ჩვენი ერისა ის არის, ვინც ამ მხრივ ემსახურება მას და ყოველ ამგვარ მოღვაწეს თავიდანვე თანაგრძნობა და სიყვარული ესაქიროება ჩვენთან.

ივ. გომართელი



სომეხთა მწიგნობარნი



ვრთანეს ფაფაზიანი

სომეხთა ხსელ დიკურატურაში სხვათი ადგილი უჭირავს ვრთანეს ფაფაზიანს, როგორც წვრილ მოთხრობათა მწერალ-ბუნეატრისცხ.

ფ-ი დაიბადა 1866 წ., ქ. ვანში (ოსმალეთი). სწავლა მიადო ემხაძინის აკადემიაში, განათლება დაამთავრა შუეცარიაში, წერა დაიწყო 1883 წ. 1894 წლამდე სწერდა ოსმალეთის ცხოვრებადნ; მისი მრავალი სურათა გვიანტყვის ოსმალეთის სომეხთა აუტანელ ტანჯვას; თეათმურო-

ბელ მთავრბობის, ქურთების, სხმდელოებას, მოვანსუების ცარცვა-გლეჯას.

მას შემდეგ ვ. ფაფაზიანი შუეცარია სურთო ცხოვრების დასურთაებას და ერთა გზით მასდეკს ნიქსეს მამართლეებას, ადერთაყვარულთა სკანდანიუაის მწერლებით (ისეხი და ბიერნისინა) და შექმნა რადეანამე სიმთალაური ნაწარმოები.

ვ. ფაფაზიანი ცნობილთა ავრდეკე თავისრ წერალებით „ოსმალეთის სომეხთიდან“, „სწარსეთიდან“, „ანდლისიდან“, „შუეცარიადან“ „შაის ზღვის ნაზირთიდან“ და კადმოსხლეკულთა ცხოვრებადნ, ორმალთად „ზრო“-ს ფსუედანბით „მშკ“-სა და „მურგ“-ში ათავსებდა. მის ნათარგმნთაგან ცნობილთა ერკან-შატრანის „გლეხი კაცის ასტრია“, ნიქსეს „ასე ჰრქვა ზარატუსტრამ“ და სხ.

ვ. ფაფაზიანის ყველა ნაწერის ტენდენცია სსრტავი ზრატუსტია ყოველ-კვარ უსამართლოების წინააღმდეგ და სხობილოკულად გეაწეკეს ყოველ დაბრკოლებასთან.

ენა აქეს მწერლა, მკათია და წელანია. მოთხრობების ფორმა მომხილავია და საინტერესო.

სთაკტრო ნაწარმოებთაგან ჯერ-ჯერობით გამოცემული აქეს ორი დრამა „მომდინარეობა“ დაბეჭდა სომეურ ჟურნალ „თატრან“-ში (თაკტრო), 1902 წ. მეთრე „კლდე“, ოთხ მოქმედებად, ზარეკლად წარმადგინეს 1905 წელს და, ვითარცა სუეკეთის ორიგინალურ ზეკსს, ყოველ წელიწადს თანაშობენ.

ფრანგულადან სთარგმნა შრდ მერეის ზეკს „ჭიდრა“, ზრეითი დაჯალდოებულა სომს. დრამატოული სსხოკადოების-მიერ, როგორც სუეკეთის სთარგმნი.

ფ-ის ქართულად კადათარგმნილა და დაბეჭდილთა („დროებაში“ და „ნავაღლში“) სუთა ზატრას მოთხრობა. ახლახან კადათარგმნა ზეკს „ბილდე“.

მოსალოდნელთა; რომ ფ-ის ფექიზი, მტოდნე და დაეყვარეკულა ტანება კადეკ ბეკრს მარკალატრს შესიდეხის დიკურატურას.

უ. კ-ი



ს
ბებ



სინანული

(ეტიუდი)

ვუძღვნი X-ს

წყნარი გაზაფხულის დამე იყო. სულ ვაქმენდილი მიდამო ნეტარებით მომკვდარიყო, ტურფა ყვავილ-მცენარეთ გული ნახად გადაეშალათ საიღუმლო ბუნებისთვის და შეხაროდენ. გალავარდისფრებულ ცაზე ნიაგი თავისუფლად არხვედა კამარას და ნავარდობდა.

განათებული ჩინარის წვერი წყნარად ირხვედა და ამაყად დაჰყურებდა ძირს ბნელით მოცულ მიდამოს.

ძირს-კი ბნელით აყვავებული წალკოტი ჩუმის გულის ძგერით ელოდა სიცოცხლის ბრწყინვალე სხივებს.

— შრ-შრრ! შრრ-რრ შუშ! გაისმა მაღლა ცის კალთაზე ნიავის თავისუფალი შრი-ალი და გამოჩნდა მისგან დაქსაქსული პაწია ღრუბლები.

— ჩვენსკენ, ჩვენსკენ თავისუფლებავ! ხმაურობდენ ყვავილ-მცენარეები. მაღალი ჩინარიც თრთოლივით, გულის ძგერით წინ მიეგება თავისუფალ ნიავს და ფოთლები მეტის გრძნობით ააციმციმა.

გაკამკამებულ ცაზე-კი ამოცურდა მღიმა-რე მთვარე და სიხარულით სხივები დააბნია მიდამოს.

— სალაში და გამარჯვება!

განათდა ბნელი. განათდა მოღრუბლული წყვილიდი ცა. აციმციმდენ, ამოძრავდენ ვარსკვლავებიც. შორს კი გაისმა სიცოცხლის ტკბილი მელოდია:

ცის შნათო თავისუფლებავ, მოგაძღვნით მად-

ღას, სლამას;

შენ გელოდებით, გიგალობთ, დახშულანი ბნე-

ღას აღავსას!

ამოგამკამდა, ნათელა, წყაროვ ცის სიმშინდისა და გაღვებაზე სიუხვით ევაჯანნი კავმისო!..

— თავისუფლებავ! მაშ ეგ შენა ყოფილხარ, შენ გიგალობდა ქვეყნის სამყარო დიდებულ პიძნსა? შენ მეტად წყნარი და სანარტრელი რამა ყოფილხარ!

ა. — ჰო, მე ვარ. — უთხრა მთვარის სხივებში სხე, ახვეულმა ქალწულმა ჰაბუეს და მეტის მო-

მზიბვლელობით თვალბში ჩააქცურდა. — მაგრამ ს-ს-უ... გესმის დიდებული მელოდია? — წყნარად შეაჩერა ქალწულმა და მთელი თავისი სულის ძლიერებით ღამის ახმაურებულ მელოდიაში ჩაიკარგა, ჰაბუე-კი მდუმარებით მოცული შეჰყურებდა საკვირველ მშვენებებს და ტკბილი მელოდია გულის სიდრმემდე სწვდებოდა.

— სიცოცხლის სხივო, მე მსმენია ხმა, მიხილავს სიტუფე სიცოცხლისა, მაგრამ ასე მომზიბლავად, ასე ღრმად გულში არსად ჩამწვდენია. ამ მელოდიაში მესმის მხოლოდ შენი ნახი ხმა, ღამის სხივებში ხვდევ მხოლოდ შენ მომზიბვლელ ქანდაკებას!.. მაგრამ ოჰ, შენს სადლაც გაიყურები, სული ვილასიც საიღუმლოებას ესაუბრება...

— ს-ს-უ! — წყნარად გაისისინა ბუნქებში ნიაგმა და ვარდის კოკრებს ფოთლები შეუროხია, მიდამო ყური მოჰკრა, შემკრათლმა სული განაბა...

ღამის მნათობს თავის ოქროს სხივები ახლად გადაშლილ ვარდის კოკრებისთვის დაებნია და მთრთოლვარებით უშლიდენ ნახ ფურცლებს. ანკარა ნაკადულიც წკრიალით ეჩურჩულებოდა ნახ სიყვარულს და ათრთოლვებულ სხივებს გულში იხვევდა:

— ჩემი ხარ, ჩემი იქნები!..

— აი სადა ყოფილხარ, არ ტურფავ! შენ ვარდის კოკრებს ეაღერებები და მე კი შენს გულს დავეჭვებდი...

— ხა-ხა-ხა-ხა!.. — გაისმა დამცინავი ხარხარი, აღტაცებულ მცენარეთა კისკისი. ვარდის ბუნქები შეირხენ წყნარად, გამოჩნდა მღიმაირი ტურფა ქალწული და გადახედა შეფოთებულ ადამიანის სახეს.

— ს-ს-ს-უ, დამშვიდი, ნუ შფოთავ. შენ ჩემ გულს ვერ დაისაკუთრებ, ის თავისუფალი, ღალი მონაგარდ ზეფირია, ხედავ ის ყველას დაჰქრის, ახარებს. აი, იგი მე შენც მოგვანიჭებოზ გრძნობ გულის სიამეს, თავისუფლებას?

— ოჰ, კეთილო ღვთაებავ! შენის ხილვით გული გრძნობს სრულს სიამესა და სულიც სიმშვიდეს, მაგრამ რა განმშორდები, სული ჩემი გრძნობს ტანჯვა-ევაებას. მითხარი, იმას რაღა ჰქვიან ვარდის კოკრებს ფარულად რომ ეაღერებოდნი?

— იმას თავისუფალი სიყვარული ჰქვიან.



— ჰო, აი ვე თავისუფალი სიხარული მომეჩინა გულს, მომანიჭე, მყავ ბედნიერი! თორემ იმ წამიდან, რა ყური მოვკარ იმ ბედნიერებას, სული ჩემი აღიძრა საშინელი შურის საძიებლად.

აი, იხილე ჩემი გულის ჭრილობანი, აქ მრავალი ბრძოლის ნიშანია, ყველაფერსა ვძლიე, მაგრამ აი ახლა ამ ჩემ ამაყ სულის სიძლიერეში აღიძრა მოუსვენარი შურის ძიება. ჩემ წინა სდგევარ ხორც-შესხმული ძლიერება სულითა, მის წინა ვგრძობ სულის სიმშვიდეს, სათნოებასა და ბედნიერებას... ოჰ, ტურფავ, ჩემი ძლიერი სიამაყე სულისა შენ ფერხთ ქვეშ იშლება, აჰა, თვით გვირგვინიც, ჩემი დიდება ძლიერების მასშია ყოველივე: ჩემი დიდება სახელი და სიამაყეც! მყავ ბედნიერი.

— ხა-ხა-ხა-ხა! გაისმა კვლავ კიდევ დამკვირვებულთა ხარხარ-შრიარსა და გაბრწყინვალეული სხივები მეტის გრძნობებით ჩაეკვრნა გულში ნაკადულს. ქალწული შეირბა, შორს ვიდაცას გაუღიმა, გაუღიმა და წყნარად წარმოსთქვა:

— ს-სუ-უ!

გმირი შეკრთა ქალის ღიმილზე, მიდამოს ახმაურებულ სიცილზე, ნაკადულის იღუმალ ჩურჩულზე და გულში აღძრული შურის ძიება ველარ შეიკავა.

— მაშ შენ არა გსურს ჩემი სიამაყე, ძლიერების მიღება? და კიდევ იქით გაიყურები? ველარ წამიხვალ, ახლა ჩემი ხარ, ჩემი იქნები!

— არასოდეს! შეირხენ ყველითა ბუჩქნი, ახმაურდა მიდამო და დაჰკვილა შემფრთხვებულმა ნიავემაც მაღალ ჩინარის წვეროვებში.

— არასოდეს! გაიმეორა ქალწულის ხმა-მაც წყნარი სიამაყით და ერთბაშად ყოველივე მღუმარებამ მოიკცა მის გარშემო.

მაგრამ როცა აახილა თვალები შემკრთალმა ქალწულმა, გადახედა მიდამოს. გარშემო ყველა სდუმდა, ხოლო მახლობლად დაინახა მიწაზე წელი სიო წყნარად არხვედა მის გიშრის ნაწნავების ნაგლეჯებს, თითონ-კი ტანთ-საცმელ-შემოფლეთილი ეგლო მიწაზე. შემკრთალმა მაღლით გაცრიავებულ ცას მიაპარო თვალები და მწარედ ამოიკენსა:—ცაო, მიმიღე შენ, უმანკო სულიო!

ცა შეირბა, სიომ ღრუბლები გაჰფანტა,

მივარემ სხივები დააბნია უმანკოებას. ვარდ-ყავილები შეკრთენ, აციმციმდენ და სურნელებით შეზავებულმა ნახმა სხივებმა სისხრულით აიტაცეს უმანკო სული. სიომ კვლავ დაჰგერა, აახმაურა მიდამო და კვლავ გაისმა სიცილის ნახი მელოდია, განათებულმა ცამ გულ-წრფელად შეჰღიმა მიდამოს და ზიზლით გადახედა შავნელ დედამიწას. მივარის სხივებში გამოხვეული ქალწულის უმანკო სული ამაღლებული წმინდა ძლიერებით და მშვენიერების სხივ-მოფენილი, ამაყად და სიბრალულით დაჰყურებდა ძირს მიწაზე შეურაცხყოფილ თავის სხეულს. ნახი ზეფირი წყნარად უშლიდა და ეალერსებოდა მის გაშლილ თმებსა, ძირს-კი მის ფეხთა ქვეშ დაფენილი მწვანე მობიბინე ბალახი ნეტარებითა კრთებოდა მივარის სხივზე.

ცვარით დანაშაული თეთრი ვარდი უმანკოებით ირხეოდა და შორით გამოპარებულ სხივებს ნახვად უღიშოდა.

იქ ბნელით მოკულ სიწყვილიაღემი-კი ვილასი შეჩვენებული სახე შეძრწუნებული დასჩერებოდა თავის წინ უმანკო მსხვერპლს და დამძიმებული სულითა გმინავდა.

ბუჩქები შეირხენ, თავდახრილი კოკრები ერთმანეთის ეწურჩულეობდენ საიდუმლოებას და მაღლა ცას მისჩერებოდენ. წყნარი, დაკამკამებული ცა შეირბა, აციმციმდენ ვარსკვლავები, მივარემ გასწია, ღრუბლები გააპო და მოისმა ხმა:

— რათ ჩაიდინე საშინელება?! საზიზღარო, შეისრულე ბიწიერი გულის წადილი, მოჰკალ იგი. დამორჩილე ხორცი, აი ვე ლეში აღამიანისა! მხოლოდ სული, უმანკო სული-კი ვერა; აგერ ის, აქ ცათამდე ამაღლებული დაგურებს ძირს და დაჰხარხარებს შენს უშინდურ გრძნობებს. ის ამაღლდა ცამდის, შენ კი დაცე, დამძიმდი სულით! უბედურო, მე მოგანიჭე თავისუფლება და სულის სიამე, რა უყავ სათნოება და სიყვარული? შურის ძიებამ თვალთ დაგაბნელა და დავაიწყო ყოველივე სიფაქიზე სულისა. ხედავ შენის დიდების გვირგვინს, მას ბიწიერების ჭუჭუი აცხია!.. მხოლოდ ამას-კი, ჩემს ვარდ-ყავილით შემეკულ გვირგვინს და გაბრწყინვალეულს ხედავ, ამას ჰქვიან უმანკოება! შორს იქით, ნუ შეახებ შენს ბიწიერებას ჩემ უმანკო სულს!..

—ო-ოხ!.. უმანკობაჲ!.. მომიტევე... მე ვცხოვრობდი იმ ცოდვილ ქვეყანას, სადაც არ იცნობენ უმანკობას, სადაც არ არის სიწმიდე, სიფაქიზე სულისა, სადაც ყოველივე იყიდება ოქრო-ვერცხლზე: სული, ხორცი, სიყვარული, დიდება და სახელი: მპატიე!.. აი, ვხედავ ჩემ თვალ წინ სულ სხვა ცხოვრება-ქეშარიტებას, წმინდას, უმანკოს, ვით ახლად გადაშლილ ვარდის კოკოს... მაგრამ, ოჰ, უმანკოე!.. შენ შორსა ხარ ჩემზედ... სხივ-მოფენილი, კეთილი ისევე იღიმები... მთვარის სხივები ცელქად დაგორთიან კალთას, ვარდის კოკრები ისევე იხრიან თავს შენს წინ, გრილი სიოა აღერსით გიშლის შავ თმებს, სამყარო ისევ გიგალობს დიდებულ ჰიმნს... ნაკადულიც ისევე ტბილის ხმით გეჭურჩულე-

ბა სიყვარულს... მე-კი, შეჩვენებულსა და განდევნილს, სული მიმიძის... აჰ, დაიმსხვრეს შენ—უმანკობის წინ გვირგვინი ამ ქვეყნის ბიწიერებისა, და მასთან ჩემი სახელიც!..

მიდამომ სული შეჰკმინდა. ნიავიც შეგერდა. შემკრთალმა ყვავილებმა ყური დაუვდეს. ისმოდა მწარე კვითინი.

—სინანული!..—წარმოსთქვეს ყვავილთ პირებზე შემკრთალმა მთვარის სხივებმა და გაიბნენ.

ნიავემ წყნარად დაჰქროლა. ვარსკვლავები აციმიცმდნენ, ვარდის ბუჩქები შეირხნენ, და თავ-დახრილმა კოკრებმაც წასჩურჩულეს მიმავალ ნაკადულს:

—სინანული!

ელენე დეკანოზიშვილი



რა მშვენიერი იყო ნამი...

...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე!
ცა ვარსკვლავებით მოქედელი ზე დასცქეროდა,
ოთქო ცის შვილის ყოფნას ვარდზე და სიყვარულზე,
განცვიფრებოდა... თვალს ლულავდა... არა სჯეროდა...

...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე...
მზე სხივს აფრქვევდა, ათას-ფერად ღვივოდა ნამი,
შიგ იხატვოდა, როგორც ამაყ ზღვათა უბსკრულზე
ზეცის შვენება, ზეცის სხივი... ზეცის კამკამი!..

...დღეს აღარ არი, წაჰყვა მზის შუქს აციმიცმებულს
დაღლია სული სიყმაწვილის ნახ გაზაფხულზე,
მაგრამ მგოსანი კვლავ იგონებს მის ნეტარ წარსულს,
...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე!..

გ. ტაბიძე



მტაკვალის ბ ე ღ ი

(ხონთაქრას მბრძანებლის უკანასკნელი დღე)

ა. ნერადოვის რომანი.

თანამედროვე დრამა ერთ მოქმედებად

(გაგრძელება იხ. „თეატ. და ცხოვ.“ № 18)

V

იგივე, **იუსუფ-ეფენდი**

იუსუფ-ეფ. (შეიშვლისათვის მიესალმება) ალა-ბი იყოს შენი მოწყალე.

ხონ. (ანაშუებს დასჯადობად) რა ამბავია? ხალხში ან ჯარში ხომ სიწყნარია...

იუსუფ-ეფ. სრული სიმშვიდე. თავასუფლებამ ხალხს მყუდრო ცხოვრება მოუპოვა. ახლა შეუდგა იგი განვითარებას, ნიდავის დამკვიდრებას... და თავისუფლება...

ხონ. (შეაქექლად) თავისუფლებამ მეც მაგრძნობინა... ვმადლობ ალახსა, რომ ჩემი ხალხი მშათა ყოფილა...

იუსუფ-ეფ. ხალხმა შეიგნო ბედნიერება. თავისუფლება მისთვის ის არის, რაც ბნელში ჩვენთვის სინათლე ღვთისა...

ხონ. ვმადლობ ალახსა!...

იუსუფ-ეფ. ხალხს სურს სინათლე, და სძულს ისინი, ვინც სიბნელის მოსურნე არი... **ხონ.** (ჭკეულად) მერე ხად არის? ნუ თუ ჩვენშია?...

იუს-ეფ. კიდევ ევა სწყინს ხალხსა და კომიტეტს. ბნელით მოკულნი აქ თქვენის გვერდით იმყოფებიან...

ხონ. (მოთუთქნაობით წანათასხებს) როგორ! რას როტავ!...

იუს-ეფ. (წარმ-შესრიალი წამოდგება) ჩემო ხელმოწაფევე...

ხონ. (ტუჩის მოკვრეწით ჩაჯება, ფარულ დღევით მთადღუჟა) ჰო, თქვენ მართალი ხართ... (ხმას ამდაღუბით) მერე ვინ არის!... (ხმადაბლა) ვინაობა-კი თვით კომიტეტმა...

იუს-ეფ. ჯერ ვინაობა არ შეუტყვია; ხოლო მათი ნამოქმედარი-კი არ მუშენებს ყველას...

ხონ. (ცბიკრას მოთუთქნაობით) მერე რა მოხდება...

იუს-ეფ. ჩვენი მხედარი ხომალდი „ოსმანი-ს“ ლეიტენანტი და კომიტეტის...

ხონ. (მოთაო და ანა იფას რა) მერე რა მოხდება. სახელი მისი?

იუს-ეფ. დღეს დაიჭირეს უცნობთ ილჰიმი.

ხონ. მერე ვერ შესძლო თვით კომიტეტმა

იუს-ეფ. ჩვენ გამოგვჩვენა, რომ ვთხოვთ: გაანთავისუფლოთ...

ხონ. (შეჰქუარებს) როგორ!...

იუს-ეფ. (წამოდგება) ჩემო ხელმოწაფევე...

ხონ. (ხმას დაიმდაბლებს; ჭკეულად) აქ არის და მე არა ვიცი რა?

იუს-ეფ. ჩვენ საბუთი გვაქვს. იგი აქ არის სასახლის კოშკში.

ხონ. მე რომ არა ვიცი რა?...

იუს-ეფ. ხალხსა და კომიტეტს ეს სჯერა; იცის, რომ რაც აქ თქვენს გარსა ხდება, იგი მტერია თქვენი და ხალხის. ამის ნიშნები უკვე ხელთა გვაქვს, დროა განსწმინდოთ თქვენი სასახლე შავრაზმელთაგან...

ხონ. (განრისხებული) კმარა!... (მატარა ხნის შემდეგ ხმადაბლა, ჭკეულად) თქვენ სცდებით! ნადირ!.. მოგნახავ... თუ არის ვინმე... თვით მე გავუშვებ...

იუს-ეფ. (წამოდგება) სჯერა კომიტეტს. თუ ორ საათში არ გამოუშვებთ, მისი მეზღვადური ხომალდით თქვენს სასახლეს მოაღებენ...

ხონ. (გაგოფებული) როგორ გაბედვენ!...

იუს-ეფ. ლეიტენანტი ილჰიმი-ოღლისთვის მის მორჩილნი და ამხანავი თავს გასწირავენ... და კომიტეტიც...

ხონ. (მოთამაშებს სძლევეს. ამ დროს შემოდის ნადირ-და) ნადირ!.. გააკილე.. (ჭკეულად) აქ მე მოვძებნი... თუ აქ აღმოჩნდა, ილჰიმს უწებელივ გამოგვჩვენით... (რა გავა, თუაღის გადგეუბის შემდეგ მთად გაცოფებული) ოჰ!.. რა სიამოვნებით გაწამებდი ჩემისვე ხელით... არა მარტო შენ... არამედ ყოველს... კომიტეტის წევრთ... დროა, დრო, ბოლო მოვდოს მავათ უფლებას..

VI

ხონთქარი, ნადირ-ალა და ჰასანი

ნად. (შეიშვლისათვის) შენი ერთგული ჰასანი გახლავს.



მამინე პარკვე

ხონ. ჩქარა მოვიდეს... (რაც შეიძლება) აბა, ერთგულა, რას მეტყუი ახალს... მართლა გმადლობ, რომ ილიპი-ოღლი ხელთ ჩამიგდე. ამიტომ გაჯილდოებ...

ჰასან. თქვენი წყალობა ჩემთვის უხვია.

ხონ. დღეს თუ რახმის მთავარ ბელადი ხარ, ხვალ მთელის ჯარისა შეიქნები... ხომ მზათ არიან?..

ჰას. უჩინა რაზმი?

ხონ. ჰო, ჯერჯერობით...

ჰას. ელის ბრძანებას...

ნად. საქმელ-სასმელი ხომ უხვად აქვთ...

ჰას. წყალობა ჩვენის მბრძანებლისა...

ხონ. იარაღიც ხომ ყველას აქვს?

ჰას. ყველას უჩინარად.

ხონ. მაშ, დროა ახლა, ჩემო ჰასან-ხან...

(განდაბოთ) მიანდე სანდოთ: უპირველესად იუსუფ მოაკლან, ხოლო ფრთხილად-კი. შემდეგ ხომალდთა ბებერი ძაღლი...

ჰას. მე ვიცი, ვიცი ვისზედაც ბრძანებთ...

ხონ. მაგრამ, ჯერ ეგეც კარა... შემდეგ მაჰმადი! (უკვლახა მოწიწებით შეღალავებურ) რასაც გვიბრძანებს... მის შთაგანებით სათათბირო დღეს გადასწყვიტავს... ახლა-კი გასწი. რაც დაგავალე...

ჰას. თვით მბრძანებელი! მელჰამ მოგნახე...

ნად. (ხინთქარს) თქვენი სასახლის მზეთუნახავი...

ხონ. (თავისთვის) და მოლაღატე!..

ჰას. დღეს ილიპი-ოღლის სატრფო საოლე.

ხონ. (შურით მოცუფა) მერე სად არის?..

ჰას. გურჯთა უბანში მოსახლეობდენ. თვითონ ილიპი რომ შევთოკვეით, იმ დროს მელჰამს სახლში ეძინა ტკბილად ისე შეეკარით და გამოეპარეთ, რომ მათმა ძაღლებმა სულიც ვერ იმკნეს. აქ მოვიტანეთ, ვით მიძიებანძი...

ხონ. (კმაყოფილა) ყოჩად ჰასან-ხან!..

ნად. მართლაც ღირსია ჰასან ხანობის.

ხონ. მაშ, აქ მომგვარეთ. (ჰასანი ცაყ) ახლა-კი ვიყრი...

ნად. (მოუთათებს მარჯვენა მხარეს შექმოსავალს ქვეშად) იქ მივლიან მოთათბირენი...

ხონ. (უჩვენებს მარცხენა კედლისკენ, სადაც უჩინარი კარებია სადღუღლო თახშში შესასულივად) მაშ შეიყვანეთ... (შუკა სჩინა კარებს ბოლოში, თათს დაადებს და რა გაიღება კარი, - შუკა).

(დასასრული იქნება)

ს. გლახაშვილი

როცა ტკბილი, ნაღვლიანი თარის სიმთაღვერა მომეხმის, გინდ მზიარულ სუფრას გვეჯდე; ვლაცობდე და ვოხზჯობდე, ან, აივანიდან მთვარის შუქით ვსტებობდე... გინდ სატრფოს მკერდზედ აღერსით ვიყო დაოსებული, ან დღიურ ვარმით: დაქანტული ვიწველოვინში, მაინც სევდის კაემანი მომიცავს და მწირედ ამაკვნესებს...

სული გამეძმინდება, შემებუთება, გულს დამილრნის, ლოღი დამაწვევა, წარსულს მამაგონებს...

ვგლოვობ ვილაცას, დავტკბი, მეცოდება, ნაღველი მეშლებო... რაღაც დაკარგულ იმედს ვეძებ... ენანობ... ვგრძნობ ჩემს გულის იარაღს... შავი ფიქრები მეუფლებიან...

ჩუმიდ ვოხრავ... ტამრები მეშლებიან, ხან დავდუნდები, ხან ძალუმიდ აღფერთოვანდები როცა თვალწინ წარმომიდგება აწყო და მომავალი: მონობა—თავისუფლება, არაობა—დღდება, უმჯავსობა—მშვენიერება, ბოროტება—სიყვარული, ლატაკი ჩვენი სული...

მას ვგლოვობ და მიჩქროლავს გული!.. აქ ვარკვევ, რა დამიკარგავს, რას ვეძებ, რათ ვეძლევი ხანდისხან სასოწარკვეთილებას, რა მიღელვებს მე სულს!..

გიორგი ფოცხოველი



ლიტერატურული საღამო

8 მაისი 1910 წ. ქართული თეატრი

ლიტერატურული საღამო არაჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ბევრს აქნება ეგონოს, რომ ამ ვაგარ საღამოს წარმატალი მნაშენელობა აქვთ. ჩემბა აზრით, ამ ვაგარ შეხედელებს შეცდამა.

ჩვენა ინტელიგენცია დაქსაქსულია. ჩვენ ერთმანეთს არა ვსენთობთ, ჩვენს შორის თათქმას არავითარი სუღაერი კავშირი არ არსებობს. ჩვენ სურთო ძაღდობით არ შეგვიწყავლია წარსული, არ გავკეთავლიაწინებია აწყოთ, არ ვცდილვართ მომავლის შექმნას. ჩვენი ინტელიგენცია ამგვარ დაწინებობს



და უმოქმედობას მიხედავნი ორ ჯგუფად განიყოფიან: ერთ ჯგუფს მიხედავნი „ჩვენ გან დამოუკიდებელი“ არიან, ხოლო მეორე ჯგუფს მიხედავნი ჩვენ გან დამოკიდებულია. მე არიყვერს ვიტყვი სსზოგადით ამ მიხედავნი დასახსიათებულად. მოახსენიებთ მხოლოდ, რომ კადევრც ჩამოგეშორდეს ზირველი ჯგუფის მიხედავნი, ჩვენ ამდენად გარე-ნიდნი, გათახსირებულნი ვართ ჩვენის მშობლების მკვლელობით და ჩვენის დამხვდელ, მასწავლებელთა მოკვლეობით, იმდენად ვაწრო გეგმობთ კადაზობ-ტვის მომწვედველი ჩვენი ინტელაგენტის ზირვენი-ბა, ზირადი დირსებისა, წარმტებისა და სხვლის მოხვეჭის სურვილი ამდენად დრმად არის ჩანებრვი-ლი ჩვენს სულს და გულში, რომ შეთანხმებითა და ენერგული მუშაობავევლას და თითოეულის სს-კეთაღდელით, ჩვენის დიდების აღსდგენად, სს-ზოგადობის თეთმენების მკვდრეთით აღსდგენად ჩვენ არ შეგვიძლია. თუ ჩვენებურ ინტელაგენტის ამ გვარ დაქვეითების მივადებთ მხედველობაში, ამ-გვარ იქნას ჩვეთვის, თუ რა დიად ვუღტურული, ჰუმანური, სსზოგადობრია და ზოდიტორი მიაშენვლას აქვს ლიტერატურულ სდამოს. აქ ჩვენ ვეზობრებით ერთი შორის აზრსა, ვითვალისწინებთ ჩვენს სურთო სულიერსა და სხეობრთეს აუღადიდე-ბას, ვახვენი ჩვენის ძაღდინის კონცენტრაციას. ამ მხრთე უურადლებას დირსია ბნ რთაქიძის გამი-ვდამს და ინიციატოვა. ჯერ კადევ ორის წლის წი-ნად კადლოკვძის მან ტრთბილდან: „იხილეთ და იხილეთ, ურწმუნო ითმანო! ჩვენი ღვენილი ესა ღამზა და ძლიერა! მს აქვს არსებობის ისეთივე უფელია, როგორც რუსულსა, ფრანგულს და სხვა ენათ, თქვენ-მერ კერძად ქვეული“... და თუ 8 მასის ლიტერატურული სდამო ეოვად უძლე-რი, უეღფერი ეო, გულს სუ გავტოვს-სუ დავვა-ვიწვლეს სლეთის სტკვებთ: *Ut desint vires, tamen laudanda est voluntas!*“

ახლს შევედგეთ გ. რთაქიძის-მერ გამართულ ლიტერატურულ სდამოს განხილვას.

ის უბედურება, რომელიც ამ ბოლო ხსნი თავს დატკდა ჩვენს მოწინავე ინტელაგენტსა, უშე-დგეთ არ დარჩნ 8 მასის ლიტერატურულ სდამოს: სიღამზე მისი და შინაზრის განხვედრებულ იქმნ. ხოლო რის გამო ვე რმესდლეს თავის ზირობის ზირნთლად შესრულება სსზოგადობის წინაშე კ. ანამიტუმ და შ. არავისზირელმა, ეს ჩვენ არ ვიციო.

რაცა შეეხება ლიტერატურულ სდამოს მის-წილეთ, მთ მცირეღის გამხავალით სურთო უძ-ლეურების და უთავბლობის სურთო კადვკამდლეს თავლ-წინ. მისწილეთგან ჩვენ ველოდით სულ სხვას. გან არ შეიძლებოდა ლიტერატურული ით-რმით ჩვენს სსზოგადობრთე ვარ-ვარამხე სწა-ბასაშ-სურთ ელეფთერობის „სიყვარული ეველია“, დო-რთაქიძისის სიმბოლური მინატურა, გრ. დასს-მიძის სისხლოგორი ეტოული, დ. მეტრეველის ლირიველი ესკიზი, გრამაშეღლის სტკბ სიყვარუ-ლისა „არ შეგვიღეს ბრამკვანსი“ დასდეს მდ-მის ჩვენს დაქვეითებულს გონობს, სხეობას, ავე-კებს ჩვენს შეღახულ და ფექქემ კანრესლად სწე-ონახურს თავმოყვარეობას. სიყვერული, მეკობრბა მებად სხვბრთა, ფაქია გრძობას, ხოლო რთე-სც ჩვენი ინტელაგენტის მარტოღენ ამ გრძო-ბას დღზხარის და ეოველსავე სკათხს ჩვენის სსზო-გადობრთე ცსივრებისს უურადლებოდ სტკვებს. ეს მოვლენ მისი ცდამხრთობის და უძლეურების დამამტკენებელი სბრთაა. სიმბოლეთით და მით უმეტეს ბუნდოვან სიმბოლეთით აზრის კად-ცემს არავათარ სწოფეს არ გამბიღებს ჩვენს ზი-რველ-ყოფილ სსზოგადობის გულს და გონებაში. დამოახნისყო, სდამოს მონაწილენო, რომ ჩვენი სსზოგადობის ფართე სწილი სრულად მოემზა-დებელია ამასთვის. ეს არის მიხედა, რომ ი. ელეფთერობის დამაზმა სიველამა, ნ. დორთაქი-ზისის დრმა მინატურამ ვურფერი შთახეღდლებას ვერ მთახნის დასწრე სსზოგადობაზე. სდამოს მისწილეთა უმარველესობის ნაკლს დეკლამაციის კ-ნისების არცღადნ შეადგენდ. ელეფთერობ, მეტ-რეველი, შინაშეღლი, გრამაშეღლი, მავსეღლი სუსტი დეკლამატრთე გამბდგენ. მშენიერი დექ-სი მავსეღლისა „დადამანი-მხეცი და დამანი-მის-ტ-ვარა“ უფერულად იქმნ წაკითხული. შეტკებრლას თვით მხცოვანი მვთახნი ვაფ-ფეშეველც, უვეთესი იქნებოდა ზირველი ორი დექსი სელანწრინდს წა-კითხს, რადგან ზეზირ-ვათხვამ მწასთახ გასწორს ეს ორი მშენიერი დექსი. უფერულადვე იქმნ წაკით-ხული გრამაშეღლის-მერ მისი მშენიერი მარგალიტი — დექსი „გემწავლავ“.

როგორც მისალოდნელი ეო, სდამოს სუ-ღის ჩამდტკლად ივ. გომართელი და გ. რთაქიძე უნდა ეოელითყენენ. რთაქიძის დექტეობა თითქმის გამოჟღელბოვ მოამისქიან და ეოველთაჟერთს და-სკვნამდე მიესულვარ: დექტორი დდს უურადლებას



ქვეყნის გარეგან გამოსატყულებას სიღამაზეს, ევექტან ფრანკოს, ხსრთის მძიმე მარადელებს, გქელ, ბუნდოვან, ჰგრამ ღამაზ შედარებებს. იგი თავის ღქქელებს მხოლოდ რჩეულთათვის კითხულობს. ეს არის მანუხა, რომ მისი აზრები და შეხედულებანი დრმად ვერა სწვდებს მსმენელის განსებს და ევექტით დამთვრალი აუდატორიას უმრავლესობა ზელ-ცალაური ბრუნდებს ღქქელადან. რბაქიძის ღქქელების ეს ნაკლად რომ არ მთვადით შეედველებათა, თავის-თავად მდიდარი ტრექტრა „სელა შოთა რუს-თაველის შემოქმედების“ ცოვად და უგულოდ იქმნა წკათხუდა. სამაგეოროდ იმავე სღამოს ვახტანგ ორბელიანის ზოქუხის დახსნათებით ვახე გამარულეს დაგვანსე ქართული მქვერმეტქველიანის მქუეხიერი ნამუშა. სავოგადით, გამართლან ღქქელებათ დამახსნათეულა თვისებს სიმართლავა, შინაზნის სიმდიდრე, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ახრთა ნოქეურება, მოქლე, ჰგრამ მქუეხიერი შედარებანი, ზოქულადარულა ეს და მოური-დებელი კილთ; და განა ახლან გვეჭირთა გაბედული მხილებუ? განა სავირთა არან მოურიადებულს სიტუემ დაგვანსის ზეხი ქვესუღანობა, ფელიდობა და ორბნობობა.

ცისკარი



ახალგაზრდა ქვრივი

(ღ ე გ ე ნ დ ა)

სღამოს ბინდი ნახად გადაკვროდა სსაფლავს. უკანასკნელი მწვავე სხივი ცის ბუმბერაზ მნათობისა კრძლივით იპარებოდა სსაფლავს გაღავანზე და შეუმჩნელოდ ქრებოდა. ჰავრში ყვავილების საამო სურნელება დატრიალდა.

ბუნება დასვენებას შეუღდა და თავისი მყულრობა ჩუმ და ცივ სსაფლავს მოკვინა.

საფლავის ქვაზე დამოკილი ვილც მწარედ ქვითინებდა, სირუმეს მხოლოდ ის არღვედა და კანტიკუნტად ჰავრში მის მწარე კვნესა მოსმოდა.

ოქროს ფერი თმით შემკული თავი დროგამოშვებით იხრებოდა და ცივ საფლავის ქვაზე მთურვალე შუბლს იგრლიებდა.

ნელი სიო მოკრძლივით შეეხო ფოთ-

ლებს. ცნობის-მოყვარობით გატაცებულმა პირისახეზე გადაუტროლა მგლოვიარე ქვრის და წაბლის ფერ მოედღარე თვალბში ნახად ჩახედა. ცრემლებს თვალბისათვის ბრწყინვალემა მოგმატებინა. ნიავმა პირისახეზე ნახად შეითამაშა, მოზრდილი ცრემლი ლამაზ თვალბიდან აიგორა და ატლასისებურ მკრთალ სიწითლით მოსილ ლოყაზე შეაჩერა. ახალგაზრდა ქვრივი ოღნავ შეკრთა, სიოს მოახლოვება იგრძნო და გლოვით გულ-მოოხებულმა მძლავრი, ჯერ კიდევ ქალიშვილური მკერდი მიუშვირა.

ნიავსაც ეს უნდოდა.

ნახად გადასწია შავი მოსასხამი და ენებით გახტრებულ გულს ოღნავ შეეხო. იგი ენელა ღელავდა, ვით დასვენებული ზღვის ზედაპირი.

ახალგაზრდა ქვრივმა ერთი კიდევ გადახედა გაციტებულ საფლავს, გულ-ჩათუთქულმა მწარეთ ამოიოხრა და ზეზე ამირათა. მაღალ, ახოვან ტანზე შავი მოსასხამი მავრად შემოიხვია. ახალგაზრდური ტანის სიძლიერე ნათლად სჩქეფდა მის ყოველ რხევაში.

ახალგაზრდა ქვრივი თვალ-წარმტაცი, მომბიბლავი იყო.

ორი დღეა, რაც საყვარელ ქვარს ვასცილებოდა.

საფლავს ერთი კიდევ შეავლო თვალი და ვასსეღელ კარებისკენ თავჩალუნული გაემართა.

ერთ წამს უნებლიეთ თვალბი ზევით ასწია, თვალ წინ სახრჩობელა და ზედ ჩამოკიდებული ადამიანის გვამი წარმოუღდა. იქვე შორი-ახლოს მინდორზე დარაჯი უღარდელად წამოწოლილიყო. რა შეხედა ქალს, უტბად წამოვდა და თვლი გაუსწორა. ქვრივმაც შეხედა. მათი თვალბი შეხედნ. ახალგაზრდა ქალის თვალბი ნახი ენებით გატაცებულნი მძლავრ დარაჯის გიშრის თვალბებში შეიჭრა და მყისვე ენების ალი გააღვივა.

ქალი მიუახლოვდა.

— თქვენ აქ რას აკეთებთ.— მოკრძლივით მიმართა ქალმა.

— მეფის განაენის მსხვერპლს ვდარაჯობ, რომ ნათესავებმა არ მოიპარონ.

— მერე ვე მოვალეობა მოსაწყენი არ არის? ხელ-მეორეთ შეეკითხა ქალი.



— ბარემ რომ მოსაწყენია, მაგრამ მოვალეობა და მეც უნდა შევასრულო.

— თქვენ მოვალეობას არ ვადაუხვევით?—
მაცდური კილოთი ნახლ ჩაეკითხა ქერივი.

— არაფრის გულისათვის!

— ნუ თუ? არა მჯერა...

— გარწმუნებთ.

— არაფრის გულისათვის? ეგ დაუჯერებელია, — ამ სიტყვებთან ქალმა მოსასხამი მკერდიდან გადაივლო და უფრო მიუახლოვდა დარაჯს. ტიტველი გულით დარაჯის მკერდს მიეყრდნო და მომხიბლავი თავი ნახათ მხარზე დაიღო.

დარაჯი შეერთა, ტანში უტყბად ჟრუანტელმა დაუბრა, უნებლიეთ თავი დახარა. ორი მხურვალე ტუჩი ერთმანეთს ჩაეკრა. ათრთოლებული ხელები ტანზე მოხვია და იქვე მჩქეფარე ლეღესაკენ გააქანა...

— ღმერთო, ყოვლად შემძლებელია, მიშველე, დავიღუპე! მწარედ წაილულღულა დაარაჯმა, რა დაბრუნდა და სახარჩობელა ცარიელი დაუხვდა.

— ახლა ხომ მეც ჩამომახარობენ, რა მიყავი, შე აფთარო, შენა! — საყვედურით მივარდა ქალს.

— ნუ სწუხარ, მალე ნიჩაბი მონახე და საქმესაც ეშველება, — ღმილით მიუგო ქალმა და თავის ქმრის საფლავისკენ მიუთითა: ის ჯერ კიდევ გაუხრწნელია და მოპარულ გვამის მაგიერობას ვაგვიწვეს.

— როგორ! თქვენი ქმარი ამოვიღოთ მიწიდან? ის ხომ სახელ-განთქმული ღმობიერი ქველ-მოქმედი იყო, რამდენჯერ ჩემს ოჯახს, შიმშილისაგან დატანჯულს, მისგან შეველა მიუღია.

— მოიტა ნიჩაბი, შე ლაჩარო შენა! — ამ სიტყვებთან ქალმა გამოგლიჯა ხელიდან ნიჩაბი და მძლეობად ჩასცა ნორჩ საფლავში. რამოდენიმე წამის შემდეგ გვამი საფლავიდან ამოიღო და დარაჯის დაუხმარებლივ სახარჩობელასკენ გააქანა.

— აბა, ვინ არ გაიგებს, რომ ეს ის არ არის, — კრძალვით მიმართა დარაჯმა, — მას კბილები სრულებით არა ჰქონდა.

მხიარული კისკისით გამობრუნდა ქალი,

მოძებნა ღიდი ლოდი და მთელი თავის ლონით გვამს კბილებში ჩაახალა.

— აბა მოიტა თოკი...

დარაჯი ყოყმანობდა...

თოკს ხელი ვერ ახლო და შეძრწუნებულად გაშეშდა...

უტბილო დასახიჩრებელი გვამი სახარჩობელადან სახარლად გამოიყურებოდა...

გოლა ახრახამე

მიწერილი ამბები

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კავკავი. ამ ორის კვირას წინად გვეწვივნენ ქუთათური მსახიობნი ელ. ანდრეიკაშვილი და შადვა ღადაბანი, ჩამოსვლისათვის მზადვას შეუდგნენ და ადგილობრივ სცენას მოეყვრეთა დახმარებით გამართეს სპი წარმოდგენა, ორი სკოლის სასწავლებლად, მსდოდ ერთი თავიანთთვის. უკანსენელი წარმოდგენა გაიმართა 2 მასის. წარმოდგენის დაწესებულ შ. დადამს წააკითხს რეჟურატა „თუტრას მნიშვნელობის შესახებ“ და შემდეგ დადგულ იქნს ცოცხალი სურათი გრ. ორეღანის „სადღეგრძელო“ — დან. სცენასუ თანდათანობით ჩნდებოდნ ჩუნი შეუქნი და მოდვწყენი: ფარნაოზი, ვახტანგ, მირიან, თამარ, დავით და ირაკლი. ქართუელთა ჯარი მიღებდა „ქართუელი, ხელი ხმას იკარ“, „თამარის დროს“ — ს და „დასდევკ გმირთ-გმირთ“ — ს. სსოვადკობს ძღაერ გამუთფილი დარხს. სურათების შემდეგ წარმოდგენად იქნს ორი მხარული ვოდევილი: „ანელ თთახში“ და „არდ აქედ, არდ იქით“.

ხალხი ამ წარმოდგენასც. როგორც ორ ზიროვალს, საქმათ დასწრო.

მსახიობნი აქედან ზატიკთრისში ზიროებს გამგზავრებას წარმოდგენების გასამართავად.

შვეიცერია

გულდუთი ამ ერთის კვირის წინად გვეწვია თბილისის დრამატული დასი ევ. მუსხის, ვ. გუნას და გ. მუსხის მონაწილეობით. გუდაუთში ქართული წარმოდგენა არ ვახსოვს და ამ დასის-მიერ გამართულმა „დალატმა“ დიდი შთაბეჭდილებას მოახდინა, სსოვადკობს დიდი თანაგრძობით დაუხვდა ტიარფის სტუმრებს. შემოსავალი კარგა ჰქონდათ. დასი აქედან გვარაში ზიროებს გამგზავრებას.



სამანუფაკტურო ამხანაგობა


ნაზარქვისა და ოსტიავისა

ერევის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ყოველდღე მოსდით აბრაშუმის, მატევის, ტილოს _____

_____ და ბაბუეულის დიდძალი საქონელი

უკანასკნელი მოღისა

ამხანაგობა ჰატეუტეულ ხაზოგალობის ურადღებს მთაქვეს საქონლის დირსებას და დღემდის არ
ყოფილ სიაფეზე  სყიდვა შეეფუჯრებლად 25-7

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი გაზეთი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინად გამოდიოდა. გაზეთი წლიურათ ეღირება თბილისში და თბილის გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ 14 მან. წლით, ნახევარი წლით 7 მან.,

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлиς, тип. „Шрома“, Калистрату Кон. Цуладзе.

სახალსო გაზეთი

ყოველდღიური საპოლიტ. და სილიტ. გაზეთი

სურათიანი დამატებით.

დამატება გამოვა კვირაობით. გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 80 კ., ერთი თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ. დამატებიანი (კვირისა) 7 კ. ფოსტის ადრესი: Тифлиς, редакция „САХАЛХО ГАЗЕТИ“.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილი**

სყენაზე მოღვაწეობის მსურველთა

საყურადღებოდ

1. გამოსაცემელ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველნი (დებიუდანტი) უნდა გამოცხადდნ ღრამ. საზოგად. სადგომში (სა.თავ.-აზნ. ქარვასლა) უთუოდ 20 მაისს.

2. დებიუტანტმა უნდა იცოდეს ზეპირად ერთი რომელიმე ლექსი ანუ მონოლოგი, სცენა. რომელსაც წაიკითხავს გამოცდაზე რეჟისორისა და გამგეობის ერთ-ერთი წევრის თანდასწრებით.

შენიშვნა: პიესაში როლი მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც წაკითხვაში სასცენო ნიქსა და უნარს გამოიჩენს.— რეპეტეციები გაგრძელდება არა ნაკლებ ათი დღისა.— მუდმივი დასში მოწვევა დამოკიდებულია წარმოდგენის შედეგსა და გამგეობის შეხედულებაზე. დებიუტანტების წასვლა-მოსვლისა და თბილისში ცხოვრების არავითარს ხარჯს გამგეობა არ კისრულობს.

ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობა

მხაჭავარის გ. ი. გაბაშვილის სურათების გამოქვეყნება 10—4 საათამდე საკუთარს სამხატვრო სახელოსნოში „სულდენი“ ქუჩაზე, სახლი იზმიროვის, № 47. შესასვლელი ფასი 40 კ. მოწაფეთათვის 20 კაპ.

განყოფილება „პროგრესის“ სტამბისა, ასახლის ქუჩა, თავდა-აზნაურთა სახლში